



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 72

“ 3 ” აპრილი 2020 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის
(საკადასტრო კოდი: №01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით
პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118¹ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის და მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10,000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 მარტის №20.281.303 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 10000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.034.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 5 მარტის №20.281.303 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 მარტის №20.386.484 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად (დანართი 2).

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

№	სახელი, გვარი	პირადი ნომერი	შპს/ინდ.მეწარმე	დაჯამებული ფართობი კვ.მ
1	თამაზ ქავჭავაძე	37001003891		390
2	გიორგი მოდრეკელიძე	01019060415		665
3	რუსლან ყიფიანი	01003003546		325
4	გურამი გურაშვილი	01002026675		445
5	ხვიჩა ბუაჩიძე	56001000724		330
6	გიორგი სამუშია	62002004389	ინდ.მეწარმე (ს.ნ: 62002004389)	155
7	დავით ტაბატაძე	01002022794		345
8	გერონტი ლომსაძე	59001058692		145
9	მალხაზი მალრაძე	47001035127		55
10	შალვა გომურაშვილი	01006011272		195
11	ვარდენ კუტალაძე	01001076155	ინდ.მეწარმე (ს/ნ:103849631)	245
12	ვახტანგ რურუა	01019000475		920
13	როლანდ ჭუმბურიძე	35001009392		85
14	გოჩა წულუკიძე	01001006094	შპს "ჯი.თი დეველოპმენტი" (ს/ნ: 400218439)	1400
15	ეკატერინე კობაიძე	01001045526	შპს "ელგა 2002" (ს/ნ: 400167868)	230
16	კახა გოგობერიშვილი	38001013546	შპს "მათე" (ს/ნ: 439392756)	190
17	ზაზა გოგიჩაიშვილი	01003006230	ინდ.მეწარმე (ს/ნ: 01003006230)	110
18	გაიოზ ჭიკაიძე	01011046928	ინდ. მეწარმე (ს/ნ: 102386491)	240
19	ოლეგ სამხარაძე	54001011248	შპს "ნოე გლასი" (ს/ნ: 400091609)	945
20	სოსო ღვინჯილია	01011015267	შპს "ლასო" (ს/ნ: 402119186)	445
21	ვახტანგ ჩიკვილაძე	01003005628		1500
22	თეიმურაზ მალრაძე	01023002140		400
23	რაქდენ ფოცხვერია	01003011537		240

ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ.თბილისი,

_____ 2020 წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

- 1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“), (მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი [●]/მიერ პ/ნ: [●])
 - 1.2. თამაზ ქავჭინაძე
 - 1.3. გიორგი მოდრეკელიძე
 - 1.4. რუსლან ყიფიანი
 - 1.5. გურამი გურაშვილი
 - 1.6. ხვიჩა ბუაჩიძე
 - 1.7. გიორგი სამუშია
 - 1.8. დავით ტაბატაძე
 - 1.9. გერონტი ლომსაძე
 - 1.10. მალხაზი მაღრაძე
 - 1.11. შალვა გომურაშვილი
 - 1.12. ვარდენ კუტალაძე
 - 1.13. ვახტანგ რურუა
 - 1.14. როლანდ ჭუმბურიძე
 - 1.15. გოჩა წულუკიძე
 - 1.16. ეკატერინე კობაძე
 - 1.17. კახა გოგობერიშვილი
 - 1.18. ზაზა გოგიჩაიშვილი
 - 1.19. გაიოზ ჭიკაძე
 - 1.20. ოლეგ სამხარაძე
 - 1.21. სოსო ღვინჯილია
 - 1.22. ვახტანგ ჩიკვილაძე
 - 1.23. თეიმურაზ მაღრაძე
 - 1.24. რაჟდენ ფოცხვერია
- [●], პ/ნ: [●]/მის.: [●]

ხელშეკრულების 1.2-1.24 პუნქტში მითითებული პირები თითოეული ცალ-ცალკე წოდებული როგორც „ქონების შემძენი“, ხოლო ერთობლივად - „ქონების შემძენები“; სააგენტო და ქონების შემძენები ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“;

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ვინაიდან,

• სააგენტოს მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს №61.01192393 ბრძანების თანახმად, 2019 წლის 9 სექტემბერს ჩატარებულ N482-ე ელექტრონულ აუქციონზე, შესაბამისი საინვესტიციო ვალდებულების განხორციელების პირობით, გასხვისდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება. აღნიშნული ტერიტორიის გასხვისების შემდგომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი, მე-4 მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ყოფილი რადიო ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებაზე დაიგეგმა მასშტაბური პროექტის განხორციელება. პროექტი ითვალისწინებს მრავალფუნქციური სივრცის შექმნას, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, სპორტულ და გასართობ ობიექტებს და ემსახურება როგორც გლდანის რაიონის განვითარებას, ასევე სამუშაო ადგილების შექმნასა და დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის გაზრდას (შემდგომში - „პროექტი“);

• ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების არეალზე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844) განთავსებული შენობა-ნაგებობები, დღეის მდგომარეობით, ხელშეკრულების დანართში N1 მითითებულ პირებს (ქონების შემძენებს) დაკავებული აქვთ თვითნებურად და ახორციელებენ მასზე სამეწარმეო საქმიანობას;

• ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მეწარმეთათვის საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფისა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნის, ასევე, პროექტის შეუფერხებლად და განსაზღვრულ ვადებში განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ეწარმოებინა ქონების შემძენებთან მოლაპარაკებები საპროექტო ტერიტორიის უმოკლეს ვადებში გათავისუფლებისა და მათთვის ალტერნატიული ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით;

• ამ მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და რადიოქარხნის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოთა წარმომადგენლებს შორის შედგა არაერთი შეხვედრა, რა დროსაც განხორციელდა საწარმოთა რაოდენობის, მათი საქმიანობის სფეროს, რადიოქარხნის ტერიტორიაზე დაკავებული ფართის მოცულობისა და მეწარმეთა საჭიროებების იდენტიფიცირება. შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა განხორციელა თვითნებურად დაკავებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844) ადგილზე დათვალიერება და ასევე, ქონების შემძენების მიერ ფაქტობრივად დაკავებული შიდა და გარე ტერიტორიის ფართობების განსაზღვრა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული პირების მიმართ შეთავაზებულ იქნა მათთვის გადასაცემი ალტერნატიული ფართობები ამავე დანართში მითითებული ოდენობით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ქონების შემძენებისთვის შეთავაზებული ალტერნატიული ფართობები, უმეტეს შემთხვევაში, ნაკლებია მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ფართობზე;

• ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და რადიოქარხნის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოთა წარმომადგენლებს შორის შემდგარ არაერთ შეხვედრაზე გამოვლინდა

ხელშეკრულების 1.24. პუნქტით განსაზღვრული პირის (რაჟდენ ფოცხვერია) უშუალო მონაწილეობა N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულებზე მოქმედ საწარმოთა სამეურნეო, საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების 1.24. პუნქტით განსაზღვრულ პირისთვის შეთავაზებულ იქნა N01.19.39.034.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან გარკვეული ფართობის (240 კვ.მ) მიწის ნაკვეთის გადაცემა;

- სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრის ფარგლებში ქონების შემძენებმა წერილობითი ფორმით ინდივიდუალურად განაცხადეს თანხმობა მათ მიერ თვითნებურად დაკავებული N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულების გათავისუფლებასა და მათთვის გადასაცემი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ინდივიდუალურად შეთავაზებული ფართობის მიწის ნაკვეთების მიღებასთან დაკავშირებით;

- თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე და ქონების შემძენების მიერ ხელმოწერილი თანხმობების გათვალისწინებით, წინამდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით (შემდგომში - „ხელშეკრულება“) სააგენტო ქონების შემძენებს პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადასცემს N01.19.39.034.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, დანართი N1-ში მითითებული ფართობის გათვალისწინებით.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი, საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და პირობები

2.1. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“): [●], ამ ხელშეკრულების 4.7 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების პირობით.

უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: [●] მომზადების თარიღი [●].

2.2. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური თანხა - 1 (ერთი) ლარი.

2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების დადებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

2.4. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773390

დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენებს ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. შემძენის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა და

საჯარო რეესტრში პრივატიზების საგანი დარეგისტრირდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც შესაბამის მოწმობაში/ამონაწერში აისახება შემდეგი ჩანაწერით: „შემენილია ხელშეკრულების შესრულების პირობით“.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

4.1. თითოეული ქონების შემძენი აცხადებს თანხმობას პრივატიზების საგნის ფარგლებში მიიღოს იმ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად.

4.2. თითოეული ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ სააგენტოს მიმართ არ აქვს და არ წარმოეშობა არანაირი სახის პრეტენზია ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტისა და დანართი №1-ის შესაბამისად პრივატიზების საგნიდან მის მიერ მისაღებ მიწის ნაკვეთის ფართობთან დაკავშირებით.

4.3. სააგენტო აცხადებს, რომ პრივატიზების საგანი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, უფლებრივად უნაკლოა, ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის დაყადაღებული.

4.4. ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ პრივატიზების საგნის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და სადავო არ არის.

4.5. სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით ქონების შემძენისთვის გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გადაცემულ ქონებაზე.

4.6. თითოეული ქონების შემძენი ვალდებულია, უზრუნველყოს შეძენილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.

4.7. ხელშეკრულების 1.2; 1.4.-1.21; 1.23. და 1.24. პუნქტებში მითითებული ქონების შემძენები ვალდებული არიან უზრუნველყონ N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულად გათავისუფლება არაუგვიანეს 2020 წლის პირველ ივნისს, ხოლო ხელშეკრულების 1.3. და 1.22 პუნქტებში მითითებული ქონების შემძენები ვალდებული არიან უზრუნველყონ N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულად გათავისუფლება არაუგვიანეს 2020 წლის 26 აგვისტოს.

4.8. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, თითოეული ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ არ გააჩნია და არც სამომავლოდ წარმოეშობა სააგენტოს ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რომელიმე ორგანოს მიმართ არანაირი სახის მოთხოვნის უფლება, ინტერესი ან/და პრეტენზია მის მიერ თვითნებურად დაკავებულ N01.11.17.008.031 და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულებთან დაკავშირებით.

4.9. თითოეული ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

4.10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, თითოეული ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

4.11. რომელიმე ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დამატებითი ვადის განმავლობაში შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ

ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.12. სააგენტო მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება (ან მისი გამიჯვნის, ან სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება) ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რაც არ საჭიროებს ხელშეკრულების დანარჩენი მხარეების ან სხვა პირის თანხმობას. ამასთან, ქონების შემძენებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდებათ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

5.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში თითოეულ ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო.

5.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის შესაბამის პერიოდში გადასახდელი ნაწილის სრულ გადახდამდე ან/და სააგენტოს მიერ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.11 პუნქტის მიხედვით ცალმხრივად შეწყვეტამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

5.3. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 200122900

სახაზინო კოდი: 300773287

(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

6.1. მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7.3. ხელშეკრულებით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ქონების შემძენის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, სავალდებულოა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხელშეკრულების გარდა, ასევე, წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

7.4. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.

7.5. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო
